# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გალავინის პროსპექტზედ, ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროება"-„ივერიის" რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის" აგენტთან ი. ჭყონიასთან სილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба"-„Иверіи".

**„დროება"-„ივერიის" ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება" და „ივერია" ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება" | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია" | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილმანებისათვის [illegible] მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილმანებისათვის ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება"-„ივერიის" აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს 5 კაპ.



**ნახევარი წლის ხელის-მოწერა**

**პირველის ივლისიდამ წლის დამლევამდინ**

## დროება

ცალკე ღირს — ხუთი მანეთი

## ივერია

ცალკე ღირს — სამი მანეთი

ერთად „დროება" და „ივერია" რვა მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში, რედაქციაში (გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში—აგენტთან ბ. ილია ჭყონიასთან (სილაზე, მირიან ჭყონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба".


## ჭორი მეორეთ-მოსვლაზე

თბილისი, 29 ივლისს.

იმერეთიდამ, გურიიდამ, ქართლიდამ, კახეთიდამ თითონ ქალაქიდამ ყოველ დღეს მოაქვს ჩვენთვის თითო სამწუხარო კორრესპონდენცია ხალხში გავრცელებულ ჭორზე, ვითომც მომავალ გიორგობისთვის თორმეტს ქვეყანა უნდა დაიქცეს, წარღვნა უნდა მოვიდესო. ჯერ, სანამ ეს ჭორი ჭორათ იყო გავრცელებული და არაფითარი ზედმოქმედება არა ჰქონდა ცხოვრებაზე, ჩვენ ხმას არ ვიღებდით და, საუბედუროთ, ჩვენ გაზეთშიაც მოვიყვანეთ ეს ჭორი, როგორც ამბავი. მაგრამ, ეხლა კი ამ ჭორს ცუდი შედეგი მოჰყვა და საზოგადო მშვიდობიანობის და ყოველ დღიური მყუდრო შინაური ცხოვრების ალმაშფოთათ გახდა.

ერთგან იმერეთში, ერთი დედაკაცი შიშისაგან მომკვდარა, როდესაც ატეხილა ქუხილი,—ეს არის ქვეყანა გათავდაო; მეორესგან ერთ ქალს უდროოთ შვილი უშობნია; მესამე ადგილს ვაჭრობა მიუტოვებიათ; მეოთხეს შენობა შეუჩერებიათ და ზოგს სულის საქმეზე დაუწყია ზრუნვა, ზოგს ლვინოსა და კმაყოფილებისთვის მიუცია თავი. ერთს ქცუის-კოლოფს მეორეთ მოსვლის ლოდინი მოსჭარბებია და რიონის ზვირთებში ჩაუღუპავს თავი.... საზოგადოთ ყოველგან შიში არის და ხალხი მეტის-მეტათ აღძრულია; ათასს სხვა-და-სხვა გვარს სისულელეს იგონებენ მაღლა ჰაერიდამ ქვა ჩამოვარდაო, ხარს რქა მოტეხიაო და სხვ.

ამ გვარი ჭორის გავრცელება და მისი საზარელი შედეგი მარტო ჩვენ ქვეყანაში ""ერ მომხდარა. ქრისტეს დაბადების შემდეგ ბევრჯერ გავრცელებულა ხმა ამა-და-ამ წელს ქვეყანა უნდა დაიქცეს და ხალხი დაიღუპოსო, როგორ მაგ. ქრისტეს შემდეგ 1000 წელში, ჩვენ დროებაში—1836 წელში და ბევრი ცუდი შედეგი და უბედურება დაჰყოლია ამისთანა ხმას. ფრანცუზის მოგზაური შ. ბელანჟე, რომელიც ამ საუკუნის ოც-და-ათ წლებში იყო საქართველოში, სწერს: ის ბავარიის ნემეცები, რომელიც საქართველოში მოვიდნენ 1816 და 1817 წლებს და რომლების შთამომავალნი ეხლა სართაჭალაში სახლობენ, იმისთვის გადმოვიდენ საქართველოშიო, რომ ბავარიაში ხმა გავრცელდაო მეორეთ მოსვლა უნდა იქნეს 1836 წელს და ქრისტეს მეუფება კასპიის ზღვის ახლო უნდა დაიწყოსო და თუ წარღვნა იქმნა არარატის მთის ახლო ვინც იქნება გადარჩებაო....

არ ვიცით რამდენათ მართალია ჩვენი კოლონისტების გადმოსახლების მიზეზი, მაგრამ არ შეიძლება 1500 მოსახლობის ბავარიიდამ დაძვრის მიზეზში ეს ხმაც არ ერიოს. ბევრი სხვა მაგალითების მოყვანა შეგვიძლია აქ იმის დასამტკიცებლათ, რომ ამ ხმას ბევრი ზარალი მიუცია სხვა-და-სხვა ხალხებისთვის, მაგრამ ვინ არ იცის და არ მიხვდება, რა ცუდი შედეგი მოსდევს, საზოგადოთ, ყველა უბრალო ჭორს, ხალხში გავრცელებულს...

ჩვენი გაზეთის მოვალეობა ამ შემთხვევაში ძალიან ძნელია. ის არც ისეთი საზოგადოებისთვის იბეჭდება, რომელსაც საჭირო იყოს უთხრათ: ნუ გეშინიათ გაისს ამა დროს კიდევ ვნახავთ ერთმანერთს და ბევრ გიორგობისთვის მაჭარს მოვესწრებით ჩვენ და ჩვენი კეთილებიო. მაგრამ, მეორეს მხრით, გაზეთი ისეთი რამ არის რომელიც ყოველ კაცს მოხვდება ხელში და ამიტომ იძულებული ვართ ვთქვათ: ის ჭორი, რომელიც ყველაზე უწინ ერთმა ამერიკელმა გაზეთმა დაბეჭდა და გაზეთების საშუალებით მთელ დედა-მიწაზე მოიფინა, ნამდვილი ჭორია, მოცლილი და ლაზღანდარა კაცისგან მოგონილი, კუდიანი ვარსკვლავის გამოჩენის გამო შეთხზული. თითო ესეთი ჭორები ყოველთვის არის გავრცელებული ხალხში. განა ცოტას ლაპარაკობდენ ქვეყნის დაღუპვაზე 1840 წელში და იმერეთში ომარ-ფაშის ჩამოსვლის დროს, როცა ერთი კუდიანი ვარსკვლავი იყო ცაზე? განა ასტრონომები, რომელიც წინ-და-წინ იტყვიან ამა-და-ამ დღეს, ამა-და-ამ საათს და წამს მზის-დაბნელება იქნება და ამდენ ხანს გაგრძელდებაო, განა ზეცათა სხეულების მოძრაობის ასე მცოდნენი

## «დროების» ფელტონი, 29 ივლისს.

### ქუთათური ამბები

ეს ერთი კვირა, უეჭველია, დაუვიწყარი იქნება დასავლეთ საქართველოის გონებითი განვითარების მეისტორიესათვის. მწუხარებით გადაავლებს იგი თვალს ამ ხანში მოხდენილს ერთ-ნაირთ ფაქტებს და დაღონებულად შეიტანს მათს განმარტებას საქართველოს ზოგადს ისტორიაში. მანამდის კი მკითხველ საზოგადოებას ქვემოყვანილი სტრიქონებიც ეყოფა პულის საქენჯნად და ნაღვლიანად დასაფიქრებლად.

ერთმა რუსულ გაზეთმა „საეკკლესიო-საზოგადოებრივ უწყებამ", ნარევის განყოფილებაში დაბეჭდა, როგორც სასაცილო ამბავი, მეთოთხმეტე საუკუნის იტალიანელ ვარსკვლავთ მრიცხველის ცრუ-წინასწარმეტყველება, რომ 12 ნოემბერს 1881 წლისა მეორედ მოსვლა იქნებაო. ეს მოჩმახური წინასწარმეტყველება რუსეთის სხვა გაზრულ გაზეთებმა გადაბეჭდეს—ალბად ნომრების გასასალებლად ცრუ-მორწმუნე ხალხში,—და იმდენად წინდაუხედველად მოიქცნენ, რომ იქვე არ მოიხსენეს მისი სიცრუე. გარდა იმისა, რომ ამ მორო შილ წინასწარმეტყველებამ საძაგლად აალელვა თურმე რუსის გაუნათლებელი ხალხი, მან, ქართულად დაუბეჭდველადაც, თარგმანით და გადაჭარბებით გადმოაბიჯა ილბუზის მთას და შესანიშნავის სისწრაფით მიედ-მოედო საქართველოს ნოყიერს ნიადაგს საზოგადოდ და იმერეთისას კერძოდ. უმეცარმა მასსამ ჯერ იჭვნეულებით მიიღო ეს ამბავი და რწმენით არ ურწმუნებია. მაგრამ რაკი შეხედა, რომ მას თან-და-თან უფრო დაბეჯითებით იმეორებენ ქალაქ ადგილებს და იქიდამ ჩამოსული სუტგანათლებული პირები, მიჰმართა თავის „სულიერ მამებს" ნამდვილ ამბვის შესატყობლად. მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო ჩვენებურის სამღვდელოებისაგან: ნუგეშინის ცემისა და გამხნევების მაგიერ უმეცართ ხუცეს-ბლაღოჩინებმა მოჰმართეს მზაკვრობის ქნარი და იწყეს ორ-აზროვან დარიგებათა ძლევა, რომელთაც სრულიად დაურიგებლობაზე უარესი გავლენა იქონიეს ცრუ-მორწმუნეთა გროვაზე. მათი შიში უფრო გაიზარდა, როდესაც გაიგეს, რომ ქუთაისს რამდენიმე მეწვრილმანე ვაქრებს მიუტოვებიათ თავიანთი ხელობა და სოფლად ცოლ-შვილში წასულან, „აქაო და, ჭირისუფლებთან ერთად მივეგებოთო წარღვნასა". ჩვენ გვარწმუნებენ, ვითომც რამდენიმე სოფლელნი გამოცხადებოდეს ჩვენს გამოჩენილს ყოვლად-სამღვდელო გაბრიელს ამის თაობაზე, და ღირსეულს ეპისკოპოსს, მოლოდინისამებრ, დაემშვიდობებინოს უსაფუძვლოდ შეშკრთალნი. რასაკვირველია, თუ კი მას მართლა ვინმე გამოეცხადა ზემოხსენებულის მიზეზით, იგიც ღირსეულად დაარიგებდა მათ, მაგრამ გასაკვირველი ეს არის, რომ მისმა ყოვლად-უსამღვდელოესობამ იცის თუ რა რიგად დაშინებულია კარგი ძალი ხალხისა ნახსენების ცრუ-მორწმუეობით და არ აძლევს მღვდლებს ბრძანებას, ეკკლესიებში ქადაგებით სამწყსოები დაამშვიდონ. მართალია, თვისდა-თავად აქაურ მღვდლებს არ ძალ-უძსთ ქადაგება, მაგრამ ადვილად შესაძლებელია მათ მიეცესთ თემა და მისი განმარტებაც კი, თუ თვით გაბრიელისაგან ზოგიერთებს, ზოგიერთთა არხიმანდრიტისაგან, ზოგს რამდენიმე ჭარმაგ ბერებისაგან და ესრედ სხვათაც...

და რომ ამ ნაირი წინდახედულობა საჭიროა, ამას გვიმტკიცებს ქვემოყვანილი ფაქტები, რომელთ სინამდვილეს თამამად ვამტკიცებ. ერთის შუათანა შეძლების ორსულის ქალისათვის ეამბნათ არეტინოს *) მიჰქარვა და ისე დაერწმუნებიათ საბრალო მისს სინამდვილეზე, რომ საწყალს ერთი საათის შემდეგ უდროვოდ დაუბადებია ბავშვი! არ გასულა ორი დღეც ამის შემდეგ, რომ ერთს ვილაცა რუსს თავი მიუბარებია რიონის ზვირთებისათვის: „წარღვნის მღვრიე წყალისაგან დაღრჩობას, ისევ რიონის ანკარა წყალმა დამაღრჩოს მირჩევნია-

*) ლეონარდო არეტინო XIV საუკუნის ასტრონომია და ასტროლოღი იტალიისა, რომელსაც ეკუთვნის ნახსენები ცრუ-წინასწარმეტყველება. ავტ.

წინ და წინ ვერ იტყვიან: ვაი დავიღუპეთ ამა-და-ამ დღეს ჩვენი ქვეყანა მზისაკენ მოცხრილავს, ან სხვა ვარსკვლავებს შეასკდებაო? რასაკვირველია, იტყვიან და მანამ ისენი იტყვიან, ბატონებო, ნურც სახლის შენებას სტოვებთ, ნურც უდროოთ შვილებს დაბადებთ,—ფიქრი არ არის, ღმერთი მოწყალეა.

იმედი გვაქვს, რომ უეზდების და სოფლების ადმინისტრაცია, მღვდლები, სასოფლო მასწავლებლები, ეპისკოპოსები და ყველა მოწინავე საზოგადოება ყურადღებას მიაქცევს ამ ჭორის სამწუხარო შედეგს და ყველა თავის წრეში დაამშვიდებს აღელვებულ საზოგადოებას.

ღელო.

## ახალი ამბები.

ბაქოდამ სწერენ გაზეთს „კავკაზს", რომ ბოქჩაის მაზრაში აუარებელი რიცხვი ფრთა-მოსხმული კალია ასევიაო. ორი ვერსი სიგრძე და $1\frac{1}{2}$ სიგანე სულ მოფენილია თურმე ამ ღვთის-რისხვა მწერით.

* * *

გუშინდელ ჩვენ ცნობას ბაზასხანის გვერდზე გაჩენილ ცეცხლზე „კავკასიის კურიერი" დამატებს: თათრის მაიდნის ერთს კუთხეში, ვიწრო ქუჩაში, გამოჩნდა ცეცხლი გუშინ დილის ცხრა საათზე, იწოდა ბ. ტერტეროვის აფთიაკის საქონლის მაღაზია, მეანგულოვის სახლებში. ცეცხლი ძალიან მალე განძლიერდა და სულ მოედო რაც იმ სახლში დუქნები იყო, ასე რომ დაიწვა საქონელიც და დუქნებიცა. კიდევ კარგი რომ ისეთი მშვიდობიანი უქარო დარი დაესწრო, თორემ სხვა სახლებიც დაიწოდა.

* * *

სოფ. ლანირიდამ (ქუთ. მაზრა) გვწერენ, რომ იქ ერთ სოფლის კაცს, ონაგრის მკეთებელს, ცხრამეტს ამ თვეს, მოუკლავს დამბაჩით თავისი ცოლი. მიზეზი, როგორც იწერებიან, ის იყო, რომ ამ ქალს ერთს ადგილის აზნაურთან წრეს გადასული მეგობრობა ჰქონია.

## „დროების" კორრესპონდენცია

**თელავი**, 19 მკათათვეს. შესანიშნავი დრო ეხლანდელი დრო. განსაკუთრებით შესანიშნავია იგი ქართველებისათვის. ვინც კი ცოტათი მაინც იცნობს ეხლანდელი ქართველობის მიმართულებას და ამ მიმართულების და გვარად ძალის და მოქმედების გამოჩენას, ის ადვილათ დამეთანხმება, რომ ეხლანდელი დრო, მართლაც და ფრიად შესანიშნავია, არამედ თვით ჩვენი ქართველების ცხოვრებაშიაც. შესანიშნავია ეს დრო მრავალის მხრით, მაგრამ აქ, მე, მხოლოდ იმ მხრით მოვიხსენიებ აწინდელი დროის შესანიშნაობას, რომელსაც შეიძლება უწოდოთ: „დრო მცარცველთ წინააღმდეგ."

რომ ეს ნამდვილია, ერთი გაიარეთ თუნდა თელავის მაზრის სოფლებში და კარგათ დააკვირდით იმ დაჩაგრული ხალხის სურვილს და მოქმედებას, რომელსაც ეძახიან „გლეხებს." დააკვირდით და ნათლად დაინახავთ, რომ ქართველი გლეხობა ველარ ურიგდება უცხო ტომის მოვაჭრეს და მაწარმოებელს, რომლებმაც, მიიყვანეს ის წერტილი—გარდასულ განრისხებამდე. ამ ხალხის უსიყვარულობამ მყვლეფელთადმი და ამ უკანასკნელების უკანონო და მთელი სახელმწიფოისათვის სავნო ბოროტმოქმედებამ აიძულა ჩვენი უმაღლესი მთავრობა და ამის მიბაძვით თვით სამაზრო ადმინისტრაციებიც, რომ რამე ზომები მიეღოთ ბნელი ხალხის დასაცველად, იმ გაუმაძღარ წურბელისაგან, რომლებსაც უწოდებენ ვაჭარს, ჩარჩს, მატრაბაზს. ამ, ადმინისტრაციის ერთგულებას ხალხისადმი, მოჰყვა არშინიანების სიძულვილი და შული ამ ადმინისტრაციისადმი.

როგორც ყოველ სხვა საქმეში, ამ საქმეშიაც, არშინიანები, არა ჰზოგავდნენ და არც ახლა ზოგავენ არავითარ საშუალებას. ტყუილი ჩივილები, დანოსები და უშვერი კორესპონდენციები, რომლებიც შეუყენებლივ იგზავნებოდა სადაც ჯერ არს, მათი, მიტომ განათლებული ახალგაზდობისაგან (მაგრამ, თვით უკიდურესამდე დაცემულები, გაფუჭებულები, უსაქმონი, მოტყუებით უმეცარი ხალხის მყვლეფელნი), ყოველი იყო მომართული იმ ადმინისტაციის წინააღმდეგ, რომელიც, ემსახურებოდა ხალხს და თვის დანიშნულებას კანონიერად ასრულებდა. რომ ჩვენი ლაპარაკი ცარიელ ლაპარაკად არ დარჩეს, ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ, ყოველი თქმული თვით საქმით დავამტკიცოთ.—

ერთი, ხალხთ—მოყვარე ადმინისტრაციათაგან არის თელავის მაზრის ადმინისტრაცია. რომ ამ ადმინისტრაციის თავი (მაზრის უფროსი) მუდამ მცველი იყო ხალხის ინტერესისა და სამართლიანი კანონისა, ამაში ეჭვი არ არის; რომ ის მუდამ მოქმედებდა ხალხის სასარგებლოდ, არც ამაშია ეჭვი; რომ არც ერთს იმის განკარგულებაში არ მოიპოვება არც ერთი, რომელიც შემაწუხებელი იყოს ხალხისა, არც ამაშია ეჭვი; რომ ის, ხშირად თავისი პირადული ინტერესის სავნოდაც, ხალხს იცვავს, არც ამაშია ეჭვი... თუ არ გჯერათ, გაიხსენიეთ მისი შარშანდელი სასტიკი განკარგულება, რომ ვიდრე გლეხი არ შეიტანს სასოფლო პურის მაღაზიაში დადებულს, ვიდრე იგი არ აიღებს თავის სახლობისათვის და მინდვრებისათვის საკმარისს პურს ვიდრე იგი არ მოიშორებს თავისი სკოლის, ხაზინის, მღვდლის და სხვა ამ გვარების მოვალეობას, არამც და არამც, არავის არ შაეძლოს გაუყიდოს მას მოსავალი ველში. ხომ გახსოვთ, როგორი აყალ-მაყალი ასტეხა ამ განკარგულებამ მცარცველებში!.. გაიხსენიეთ იმისი ბრძანება და მეცადინეობა, რომ სოფლის პურის მაღაზიები მუდამ თავის რიგზე ყოფილიყვნენ. თუ რა მდგომარეობაში იყვნენ სოფლის პურის მაღაზიები ამ პატივცემული პირის მოსვლამდის სჩანს იქიდამ, რომ მაღაზიების დაარსებიდამ მის მოსვლამდის, ე. ი. 16 წლის განმავლობაში, მთელს თელავის მაზრაში შეკრებილი იყო ამ მაღაზიებში მხოლოდ 4 ათას კოდამდის, რომელიც მის მოსვლამდის, გაკრებილი იყო კერძო პირებისაგან. რასა ვხედავთ ახლა? ახლა იმასა ვხედავთ, რომ, როგორც ნამდვილათ შეტყობილი მაქვს, მხოლოდ მისი და სხვა არავისი მეცადინეობით, ისევ დაბრუნებულია მაღაზიებში წინად გატანილი ოთხი ათასი კოდი და ამას გარდა შეტანილი აქვთ მცხოვრებლებს კიდევ ცხრა ათასი კოდი, სულ ცამეტი ათასი კოდი, ანუ ორმოცი ათასი ფუთი, რომელიც, რომ გაუნაწილოთ მთელს თელავის მაზრის მცხოვრებლებს, თითოზე მოდის ერთი ფუთი. ამასთან საქმე ისეა დაყენებული, რომ არა მგონია, ოდესმე ერთი ფუთიც დაიკარგოს, რადგანაც ყველა მაღაზიის ზედამხედველებს, თავიანთი სახელ-გვარი ჩაწერილი აქვთ ამისათვის დანიშნულ წიგნში, საკუთარის ბეჭედის დასმით, რომ

---

ნო", წინ დღით ეუბნებოდა თურმე თავის ამხანაგს, რომელსაც მაშინ მასხრობად ჩაუთვლია ეს სიტყვები...

წყალ-წაღებული წყალს შერჩეს, რა გაეწყობა მეტი, და ჩვენ კი ახლა მივმართოთ ქალაქის რჩევის დარბაზს. ცხრა საათია. ხმოსნები ორის გარდა შეკრებილან და წინ-და-უკან დადიან თავ-თავიანთ კერძო საქმეებზე მუსაიფით გართულნი; უმრავლესობამ არც კი იცის რა საგნები იქნება განხილულნი... სოლომონ ლულაძე, ეგ მუდმივი დამსწრე ყოველ სხდომებისა და „უხუცო ქვეყნის" ანდაზისამებრ ორატორად წოდებული რჩევაში, წინ-და-უკან დახლაფორთობს და მალ-მალ იცქირება კარებისკენ: როდის შემოვლენ დანარჩენი ორი ხმოსანიც? მოვიდნენ ისინიც, იხსნება სხდომა. პირველი საყურადღებო საგანი, რომელიც დღეს უნდა იქმნას განხილული არის ახალი აფთიაქის გახსნა ქალაქში, სილაზე ქართველ პროვიზორისაგან, რომელიც ამაზე შუამდგომლობასა თხოვს რჩევას მმართებლობის წინაშე. საამო იყო ხმოსანთ ყურთათვის ეს თხოვნა, მათს გულს რაღაცა შვება მიეცა, თითქო უზარ-მაზარი ლოდი მოვარდათ გულის ფიცრიდამაო. მართლაც, ვინც იცის თუ რა გაჭირვებაში არიან ქუთაისელნი წამლების გამოტანით აქაურის ორ აფთიაქიდამ და ბ-ნის აჯიას წამლების საწყობიდამ; ვისაც თვითონ გამოუცდია ის უზრდელური მოპყრობა ამ აფთიაქების გამგეთა და დახლიდარებისაგან, რომელიც მათ თითქმის ჩვეულებათ გადაქცევიათ ერთობ ბევრი მუშტრების წყალობით *) ვინც უწყის თუ რამდენად დაშორებულია ეს აფთიაქები ქალაქის თითქმის მთელს ნახევარ ნაწილს (სილას), რის გამოც იმ საათშივე საჭირო წამლის გამოტანა სამ-ოთხს საათს გვიანდება,—ის ადვილად დამეთანხმება, რომ ხმოსანთ სიხარული ამ შემთხვევაში იყო უზაკველი გამომხატველი მთელი ქუთაისის გრძნობისა. ამის შემდეგ ღირსეულად დააფასებს მკითხველი გუბერნიის ექიმის აზრს, რომელიც ქალაქის თავს გამოეცხადა. კოლხიდის ოფიციალურის ესკულაპის აზრით, ქუთაისში არ შეუძლია(!) რიგიანად წარმოება **სამს** აფთიაქს და თუ სილაზე მაინც-დამაინც(!) საჭირო იქნება წამლების უფრო ახლო მიწოდება, მაშინ ის (გუბ. ექიმი) ერთ-ერთს ამ აფთიაქთაგანს **განყოფილებას** გაალებინებს იქ. ეს განზრახ-შეცდომილი ჰაზრი მეყსეულად დაარღვიეს და ჩაბახეს ხმოსნებმა, რომელთაგან ერთიც არ დარჩენილა, რომ თავ-თავისი საფუძვლიანი საბუთები არ წარმოედგინოსთ ამ მონოპოლიის დამცველ ჰაზრის წინააღმდეგ. რჩევამ ერთ-ხმად გადასწყვიტა, ეთხოვოს მმართებლობას მესამე აფთიაქის გახსნის ნებართვა.

რამდენადაც თანახმანი იყვნენ რჩევის წევრნი ამ საგნის შესახებ, იმდენად უთანხმოება გამოიწვია მათ შორის ბედკრული „სამეფო სახლის" საქმემ. ეს სახლი იმპერატორის ალექსანდრე II მისაღებად გადააკეთა იმერეთის თავად-აზნაურობამ უწინდელ სახელმწიფო ფულით აშენებულ ჩათლახურ სახლიდამ. ლევაშოვის „სვავოსნობის" წყალობით ეს გადაკეთება და ავეჯის შეძენა თავად აზნაურობას დაუჯდა 70,000 მანეთად, რომელიც დახარჯულ იქმნა ბანკისათვის გადადებულ ფულიდამ. იმპერატორის წასვლის შემდეგ, ეს სახლი, რომელშიაც დღეს 5,000 მანეთსაც არავინ მისცემს, ჩაბარდა ქალაქის დეპუტატებს და მათგან მიიღო ახლად დაწესებულ რჩევამ, რომელსაც სხვა-და-სხვა რიგ შეკეთებისთვის დაუხარჯავს 2,000 მანეთი. დღევანდელ სხდომაზე გამგეობამ მოახსენა რჩევას, რომ ეს ფული მოეთხოვოს თავად-აზნაურობას, ვითარცა პატრონს იმ სახლ-ეზოისას. ხმოსნის კირ. ლორთქიფა-

*) ქუთაისში, ოფიციალურის ცნობით, რომელიც 3 წლის წინედ შეიკრიბა, არის 28,000 მცხოვრები. ეჭვი არ არის რომ წლევანდელ წელს ეს რიცხვი 35,000 მაინც უნდა შესულიყო. ამას უნდა მიემატოს გარშემო სოფლებიც, რომელთაც ქუთაისის აფთიაქებიდამ გააქვთ წამლები. მაშასადამე, თუ ეს ახალი აფთიაქიც გაიხსნა, რისი მომლოდინეც სულითა და გულითა ვართ, მაშინაც სამივე აფთიაქს ეყოლება არა ნაკლები 15,000 მუშტრისა.

ამდენი და ამდენი კოდი პური მაბა-რია და თუ იქიდამ, ჩემის უთაურო-ობით დაიკარგოს რამე, მოვალე ვარ, პასუხი უგო სოფელს...

მგონია, რომ არსად მთელს ჩვენს საქართველოში, ამ გვარს აყვავებულს მდგომარეობაში არ იყვეს სოფლის პურის მაღაზიები, ის სოფლის პურის მაღაზიები, რომლებიც თავისი ღირსებით და ხელის გამართვით ხალხის ცხოვრებაში, არასოდეს არ ჩამოურჩება უკან არც სკოლას, არც ბანკს, არც დეპოს და არც სხვა ამ გვარ საზოგადო დაწესებულებას...

მაიხსენიეთ თუ კიდევ გნებავთ, მისი სასტიკი განკარგულება, რომ ყველა სოფელს, უთუოთ ჰყვანდეს ღამით მოდარაჯენი, რომ შიგ სოფლებშიაც გაკეთებული იყვნენ გზები და სხვანი და მაშინ დამერწმუნებით, რომ Თელავის მაზრის უფროსს ტყუილად კი არ შეუძლიან დაიკვეხოს ქართველობის წინაშე, რომ მართალია, მეც ქართველი ვარ, მაგრამ, ჩვენი ქვეყნის, სხვა მრავალი კუთვნილების დაუბრუნებლად დაკარგვასთან, იმ გარჯვას და ქვეყნის ერთგულებას მაინც არასოდეს არ დავკარგავ, რომლებიც უწინდელს დროში შეადგენდნენ ჩვენ განმასხვავებელ თვისებას...

მაგრამ ასე არ სჯიან ხალხის ჭირის ოფლით და მონაგრით გასუქებულნი წურბელები: ამათ კარგათ იციან, რომ მაზრის უფროსის მეცადინეობა გლეხების კანონიერ წარმატებისთვის უდრის მათს ყელის გამოჭრას, იმათ კარგათ იციან, რომ ადმინისტრაციის მეცადინეობა: ხალხს ცოტათი მაინც შეუმსუბუქოს თვისი მძიმე ტვირთი, უდრის მათს ცარიელზე დასმას, ანუ ბარგი-ბურხანით აყრის ამ მშვენიერი და პირ-მარილიანი მხრიდამ... ვამბობ, ყოველი ეს კარგათ იციან „მათ“ და აი, გაიძრეს ბატას ხრმალი, ასპარეზად ამოირჩიეს სომხეთის კურიერის ფურცელი, დაიწყეს ბრძოლა, მაგრამ არა ჩვენებური, ქართველური, სამართლიანი და პირდაპირი, არა: ბრძოლა ქვეშ-ქვეშითი, უშვერი, ცრუ, უსამართლო, მხოლოდ იმისთვის ატეხილი, რომ სიმართლე და სიმართლის მიმდევარი დაჰგმონ. რომ ეს მართალია, გთხოვთ ცოტა მოთმინება იქონიოთ და ერთად წავიკითხოთ ამ გაიძვერა მებრძოლთ ნაწარმოები „კავკასიის კურიერის“ 130 ნომერში:

„Თელავიდამ სამხრეთზე ძევს Ციცი, სადაც ზაფხულში მოდიან მულანლოს და Ყარაჯალის თათრებიო მთელის სახლობით და იკლებენ აქედამ ყაჩაღობით მთელს კახეთსაო“.—Აბა თუ გინდათ შატრაბაზური დაურიდებლობა, მტრის დასამარცხებლად ამორჩეულ სახსრებში, სწორედ ეს გახლავს! Ვარწმუნებ მკითხველს, რომ Ციცზე არ არის არც ერთი—არც მულანლოს და არც Ყარაჯალის—თათრის სახლობა; იმაშიაც შემიძლიან დავარწმუნო მკითხველი, რომ ჯერ, არც ერთი პირისაგან, არც მე, არც სხვას და არც სამაზრო გამგეობის, არც ერთი საჩივარი არ გაუგონიათ, რომ Ციცზე მცხოვრები თათრები ყაჩაღობდნენ Თელავის მაზრის სამზღვრებში. Არავისთვის ეჭვი არ არის, რომ Თელავის მაზრა, სრულიად მშვიდათ არის და არავითარი მულანლოს და Ყარაჯალის თათრები მას არ იკლებენ ყაჩაღობით, მაგრამ ჩარჩმჯიღ მწერალს რა ენაღვლება: ერთი ლაფი კი მოჰსცხოს, მათგან არ ჰყვარებულს გვამს და ჭეშმარიტება ფეხებზე ჰკიდიათ!...

Ან თუნდა ეს ისმინეთ: „ყაჩაღობა, პარვა, კაცთა-კვლა და სხვა შეადგენენ აქ (Თელავში) ჩვეულებრივ მოვლინებებს. Ეს ხომ ასეაო, განაგრძობს ცქვიტი მწერალი და ჩვენმა ადმინისტრაციამ კი აქამომდე, ერთის ბოროტ-მოქმედის დაჭრითაც ვერ ისახელა თავიო“... საშინლად გაზვიადებულია, ბატონებო, ეს ამბები! Ასე გაზვიადება, ასე ბუზიდამ სპილოს შექმნა, შეუძლიან მხოლოდ Თელავის მეჭორე დიაცს და იმ ჩარჩ-მჯიღ კორრესპონდენტებს სომხეთის კურიერისა, რომელთაც წინ მიუძღვის არა ჭეშმარიტების, სიმართლის და პატიოსნების დაცვა, არამედ სხვა წვრიმალი და პირადული ანგარიშები და მანქანები! Მობრძანდით და სადაც გნებოთ გამოიკვლიეთ სტატისტიკურათ, თუ რამდენი შემთხვევა იყო Თელავში ყაჩაღობისა, პარვისა, კაცთა-ხოცვისა და მაშინ მიბრძანეთ: ვინ უფრო მართალია, მე, პროვინციალური დამკვირვებელი, თუ ჭორ-კორრესპონდენტი სომხეთის კურიერისა! Მე შევკრიბე უუნამდვილესი ცნობები სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედებისა, არა თუ მხოლოდ ამ წლისა, არამედ წარსული ორი წლისაც და აი რა ვიხილე: წელს, პირველი იანვრიდამ, ვიდრე პირველს მკათათვემდის, ყოფილა მხოლოდ და მხოლოდ ოთხი შემთხვევა ბოროტ-მოქმედებისა: ამათში სამი უბრალო მოპარვა ნივთებისა და ერთიც კაცის-კვლა. Ოთხივე შემთხვევაში ადგილობრივმა ადმინისტრაციამ იპოვნა დამნაშავენი და გარდასცა თავისი პროტოკოლით ვისთანაც ჯერ არს. Ნეტავი ვიცოდე, საიდამ გამოძებნა მახვილ-გონებიანმა „კურიერის“ კორრესპონდენტმა რომ ყაჩაღობა, პარვა, კაცთა-კვლა ჩვეულებრივი საქმეაო ჩვენს ქალაქში?! Ბატონო, ამოდენა ქალაქში, რომელშიაც ითვლება 6000-ზე მეტი მცხოვრები და რომელთა შორის მშვიდობიანობის დასაცველად არის დანიშნული მხოლოდ ერთი ქალაქის პრისტავი, თავისი თანაშემწით და შვიდი „დესიატსკი“, რომ ასე იშვიათი იყოს ბოროტ-მოქმედება, არ გიკვირთ? Ერთად ერთი შესაზარი ამბავი, რომელიც მოხდა ამ წელს, იყო Იაგორ Თამაზოვის მოკვლა, მაგრამ რა გასაკვირველია ეს ამბავი?—როგორც ყოველი პატიოსანი კაცი ამბობს, Იაგორ Თამაზოვი იყო იმისთანა ბოროტი კაცი, ისე უსვინიდისოთ და უსამართლოთ ეპყრობოდა, ვისაც მასთან საქმე ჰქონდა დაჭერილი, რომ მისი მოკვლა გადამტერებული კაცისაგან, ბუნების დადგენილობად უნდა ჩაითვალოს, და, ადრე თუ გვიან, უნდა მომხდარიყო ეს საქმე!..

Არც წინა წლებში ყოფილა ასე ხშირად ბოროტ-მოქმედების შემთხვევანი: წარსული ორი წლის განმავალობაში, ე. ი. 1879 და 1880 წლებში სულ იყო ოციოდე შემთხვევა და მათ შორის: ერთი კაცის კვლა, სამი დაჭრა და დანარჩენიც უბრალო პარვა. Ყველა ამ შემთხვევებში, როგორც ნამდვილათ ვიცი, ყველა დამნაშავენი ადმინისტრაციისაგან დაჭერილნი და გარდაცემულნი იყვნენ Თელავის მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწის ხელში, ერთის შემთხვევის გარდა, სადაც მარქაროვის ფულის მომპარავი ვერ აღმოაჩინა ადმინისტრაციამ, რადგანაც, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, თვითონ მარქაროვი ყოფილა თავისი ფულის...

Ამასთან მიიღეთ მხედველობაშია აწინდელი გახსნილობა Თელავის საზოგადოებისა, მისი დაუდევნელობა და უთაურობა ყველა საქმეში, სრული მოკლებულობა ხალხისაგან აღზრდას და სწავლას, მისი მოქმედების და ცხოვრების შეძლება-სახსრები, არა საკმარისად ქუჩების და ეზოების

---

ნიძის აზრით, სულ მოკლეობა და უწყალობა იქნება ქალაქის მხრით, რომ მან 2000-დე მანეთი მოსთხოვოს 70,000 მან. დამხარჯველ თავადაზნაურობას, მით უფრო, რომ ქალაქმა მეტ-ნაკლებად, როგორცაა ისარგებლა იმ სახლისგან და აზნაურობას კი ზარალის მეტი არაფერი უნახავს. Ზოგიერთი ხმოსნები ამბობენ სახლი ჩვენია, რადგანაც ჩვენს მიწაზეა აშენებული და, გარდა ამისა, გადაკეთებულ იქმნა ძველ სახაზინო სახლიდამ(!). Აზნაურობას არავინ ეხვეწებოდა მისს გაკეთებას; გადაუკეთებია, იმპერატორის მილებით თავის სურვილი აუსრულებია, მეტი რა უნდავო? Გამოუჩნდნენ აზნაურობასაც მომხრენი. Ხაზინამ აზნაურობას მისცა თავის სახლი ეზოთურთ, მაშასადამე ორივე მისიაო; ქალაქმა მხოლოდ თავის დანახარჯი ამოიგოს თუ კი შეიძლებაო. Ძლდასავით ვცა ეს სიტყვები სოლომონ Ღულაძეს.—„მე რომ სოლომონი ვარ, მე მომანდვეთ მაგ საქმე და სახლსაც ჩაგაბარებთ, ეზოსაც თან მოგართმევთ, ვაი არა აქვს თქვენს სოლომონსო!“

—„Აბა ჰე, გვიშველე სოლომონ!“ მაგრამ განა-რინჯეს მისი მოშველება: რჩევამ სამერმისოდ გადასდვა ამ საქმის განხილვა. Ყოველ წლობით ასე სდებენ ამ გაჯახირებულ სახლ-ეზოის საქმეს და ამ გადადებ-გადმოდებით რჩევა უსაბუთოდ კი არ ჰფიქრობს მის მოგებას: აგერ ცხრა წელიწადზედ მეტია, რაც კი ქალაქი სარგებლობს სამეფო სახლ-ეზოით; ერთი გავა ათი წლის ხანგრძლივობის ვადა და მერე „прощай, გამარჯობია“ ხაზინავ და თავად-აზნაურობაც: არც ერთს მათგანს არ შეეძლება ამ მამულზე თავის უფლების გამოცხადება. Ამას ჰქვია ქართულად, „ხერხი სჯობია ღონესო, თუ კაცი მოიგონებსო!“

Დროზედ და სამართლიანი ხერხის გამოგონება კარგი დაგემართოს კაი იყოს, მაგრამ, როდესაც მას იგონებენ ვერაგულის მიზნით და უგდებენ სამართლიანობის მეუფებას—მაშინ არაფერია მაზე საზიზღარი და საძაგელი. Ამისთანა ხერხი გამოუღო კანონს ერთმა აქაურ ჩასუქებულმა (მეტის ძილით) ბობოლამ ამ დღეებში და ციხიდამ გამოუშვა უთავდებოთ და უსწინდროდ გამოტეხილი კაცის მკვლელი! Საზოგადოდ ჩვენ ყური მიჩვეული გვაქვს კანონის დარღვევის სმენას, მაგრამ ასე აშკარად დარღვევას კი დღემდის არ მოვსწრებივართ.

Წარმოიდგინეთ ერთმა კაცმა მოჰკლა მეორე, მკვლელი დაიჭირეს და პოლიციიდამ ციხეში გაგზავნეს. Პროკურორმა შეადგინა გამამტყუნებელი ოქმი და გადასცა სასამართლოს. Სანამდის სასამართლო საქმეს განიხილავდეს, კაცის მკვლელი, სასამართლოს ნება-დაურთველად, გამოუშვეს ციხიდამ იმ ჩასუქებული ბობოლას ბრძანებით. Აი კოპიო № 757 ამ ბრძანებისა ქუთაისის პოლიცმეისტრისადმი, რომელიც სიტყვით-სიტყვამდე მაქვს გადმოწერილი:

Წინადადებას გაძლევ თქვენს მაღალ კეთილ-შობილებას რომ საპატიმროში მყოფი გლეხი ანტონ ძნელაძე გადაიყვანოთ აბაშიძის სახლში ყარაულს ქვეშ სამყოფად.

Ნამდვილზედ აწერია ბობოლას წოდება და გვარი და სტოლის გამგეს გვარი. Პოლიცმეისტერმა შემდეგის ქაღალდით (№ 8394) მიჰმართა ქუთაისის საპყრობილის ზედამხედველს:

ამ კოპიოს მოწერილობისას (ამა-დასამისგანო) წარვუგზავნი ქუთაისის საპატიმროს ზედამხედველს დაუყოვნებლივ და სწორედ ასასრულებლად.

Პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელი აგიევსკი.
Სტოლის გამგე მიქელაძე.

Საპატიმროს გამგემ იმ წამსვე აასრულა ეს ბძანება და კაცის მკვლელი დღეს თავისუფალი ბრძანდება თავის დამხსნელ ბობოლასთან... Სასამართლოს ამ დღეებში მოხსენდება ამ საქმის გარემოება და სად იქნება ნეტავ მაშინ, გამოტეხილი ბრალდებული, რომლის ციხიდამ გამოშვება პროკურატორას ჯერეც არ შეუტყვია?! Ძმარა. Განმარტებას თავს ვანებებთ, რადგანაც „სათქმელი ბევრია და პირი კი წყლითა გვაქვს სავსე“... „სადაც ძალა ძალით შევა, ბანს სიმართლე სძვრესო“, ნათქვამია.

განათება, ამასთან თითქმის ათას მცხოვრებზე მხოლოდ ერთი მცველი-დარაჯა და ასე ცოტა შემთხვევა ბოროტ-მოქმედებისა და მართლის გულით მითხარით, როგორ განგებ-ლობს ადგილობრივი ადმინისტრაცია: ცუდათ თუ შეძლებისამებრ კარგად? ამასთან, ნურც იმას დაივიწყებთ, რომ თვით ადმინისტრაციას აქვს მინიჭე-ბული ასე მცირე უფლება და შეძ-ლება, რომ მართლაც და გასაკვირვე-ლია, როგორ, ამისთანა დაუდევნელ ხალხში, როგორიც არის თელავის ხალხი, ერთი ათათ უფრო მეტი ბოროტ-მოქმედება არ ხდება....

ვათავებ ჯერ-ჯერობით ამით ჩემს პროვინციალურ დაკვირვებებს. ვი-სურვოთ, რომ ყველა, ვინც ხელში კალამს იღებს, იღებდეს მას მხო-ლოდ კეთილის განძრახვით—გვერდში ამოუდგეს ხალხის კეთილ-მომქმედს, და ასე თუ ისე, ცოტათი მაინც მა-ლამო დასცხოს დაჩაგრულის გულზე და, არა უშვერი წერით და ჭორით, რომელიმე პირადული განხეთქილე-ბისა გამო, ტყუილ-უბრალოდ ძირი უთხრიდეს კანონის და ხალხის სა-სარგებლოდ მომქმედ პირს...

პროვინციალური დამკვირვებელი.

---

# განცხადებანი

### ახლად მიღებული

დიდ ძალი რიცხვი თოფებისა, რე-ვოლვერებისა, სასროლებისა, პირველ მოკრეფის ჩაისა, ბაკლებისა და სხვ. თოფები ჩოკ ბორ (*chôke bore*) *George Dau*-ს ფაბრიკიდამ 120 მან. ბულ-დოგის რევოლვერები 11 მან. 700 კრავატები 5 მანეთიდამ 40 მა-მდის. აქვე ისყიდება პარუსინა ნა-ხევარ ფასად და სხვ. **ინგლისის მა-ღაზიაში.** (12—2)

---

# ი. ა. მელიქ-ბეგლიაროვის

**კერძო რეალურ სასწავლებელში,**

(თბილისში, ბარონის ქუჩაზე სახლი № 10, სადაც წინეთ ინტენდანტსტვო იმყოფებოდა). დამატებითი და მისა-ლები ეგზამენიები დაიწყება 20 მა-რიამობისთვიდამ, სწავლა—1 ენკენის-თვიდამ. (3—1)

---

არის გასასყიდი **ექვსი ათასი ფუ-თი წრევანდელი მოთიბული თივა.** მსურველს შეუძლიან მიაქციოს კნიაზ ალექსანდრე წულუკიძესთან ქ. გორ-ში. (3—3)

---

**მიწა** იყიდება იმ ალაგას, სადაც აპირებენ ხიდის აშენებას, 18 მ., 20 მ., 22 მ., და 24 მ. კვ. საჟ. მსურ-ველმა იკითხოს ინგლისის მაღაზიაში. იქვე იყიდება ბაღი 1,300 კვ. საჟ., მიხაილოვის ქუჩაზე 17 მან. კვ. საჟ. (10—4)

---

**ჩაის მცოდნე პირმა და მსურ-ველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირ-ველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რა-მდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღა-ზია აძლევს ჩაის წმინდა წო-ნით უქაღალდოთ და უტყუოთ.** (100—16)

---

ინგლისის მაღაზიაში

თმის აღმო-მყვანი



მაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშის 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკავილის მოსასპობლად, ტუა-ლეტის საპონი, დუხები და სხვ (100—9)

---

ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | ჩაის ყველგან |
|---|---|---|
| — — | 1 მ. 10 კაპ. — | 1 მ. 40 კაპ. |
| — — | 1 „ 20 „ — | 1 „ 60 კაპ. |
| — — | 1 „ 40 „ — | 1 „ 90 კაპ. |
| — — | 1 „ 60 „ — | 2 „ 20 კაპ. |
| — — | 1 „ 80 „ — | 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო | 2 მანეთ. — | 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—20)

---

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოი-მატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფა-სად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერ.ბი 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მა-ნეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საავენტო ბარნსბის უნაგრების გასას-ყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკო-ლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფ-ლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ჯაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—85)

---

# ამერიკელი კბილის ექიმი დიქტო-რი ი. ა. ვალტერი

რომელიც დიდის მთავრის ღუნაიის—იქით არმიის მთავრისა განკარ-გულებით დანიშნული ვიყავი კბილის ავათმყოფობის კონსულტანტათ და მივიღე ორი წარჩინებული დიპლომი, მოვსულვარ თბილისში და ვილებ კბილით ავათმყოფებს კბილების ჩასასმელად რბილ საგებზე, უპრიჟინოთ, რომელსაც არა ვრაცხ გამოსადეგრათ ვინაიდგან პრუჟინა უშლის რიგიანათ საჭმლის დაღეჭვას.

ჩემი ექიმობის მეტოდას ხმარობენ კბილის ექიმები მთელ რუსეთში მარტო პეტერბურღში, და მოსკოვში და არა სადმე პროვინციაში, არავის ვურჩევ იხმარონ ჩანგლებიანი კბილები, მისთვის რომ ჩანგლები და კავში-რები სცვეთავენ კბილებს, რაიცა უეჭველია, შენიშნული ექნებათ იმათ, ვისაც ისინი უხმარია.

კბილების მოგლეჯას არ ვურჩევ, ამისთვის რომ კბილების მოგლეჯა, თუ გინდ ერთისაც, ცუდათ მოქმედობს სხვა კბილებზე. ამისთვის სჯობს კბილის ოქროსი, პლატინასი ანუ მილანქრის პლომბით გაკეთება; მაქვს ახა-ლი ჩემგან მოგონილი საშუალება რომლითაც შეიძლება დაიცვას კბილები წახდენისაგან და ტკივილისაგანაც. ეს საშუალება არის დამტკიცებული მე-დიცინის დეპარტამენტისაგან.

ნიმუშები: ახლად ამოჩენილი შეზავებულ კბილებისა და პლომბის-როვკები შეუძლიანთ ნახონ ჩემს კაბინეტში. ყოველს საქმეს, შესახებ კბი-ლების ავათმყოფობისა, ვასრულებ 24 საათში:

ვილებ ავათმყოფებს დილის ათი საათიდგან საღამოს ექვს საათამდინ. ვცხოვრებ გოლოვინსკის პროსპექტზე, შიოევის სახლებში, სადაც იმყოფება ვესტლის ფოტოგრაფია ბ. მირზოევის სახლში, სადაც იყო კარტინის ვისტავკა. შესავალი გოლოვინსკის პროსპექტიდან. (5—3)

---

### ანგარიში

ონის შემნახველ-გამსესხებელის ამხანაგობისა 1881 წლისა.

1 იანვრისთვის 1880 წ. ირიცხებოდა:

| | მან. კაპ. | | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული . . . | 863— „ | გასავალი . . . . | 2,604—74 |
| სასარგებლოდ შემოტა-ნილი . . . . . . | 179—96 | ნაღდი ფული . . . | 494—78 |
| ნასესხი . . . . . | 1,643— „ | | |
| სათადარიგო თანხა . . | 58—84 | | |
| წმინდა მოგება. . . . | 353—98 | | |
| და სრულიად . | 3,098—78 | და სრულიად . | 3,098—78(?) |

1880 წელში:

| შემოვიდა | მან. კაპ. | გაწერილია გასავალში | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული . . . | 69— „ | წილის ფული . . . | 257—60 |
| სარგებელი დაჭერილი გასესხების დროს. . . | 221—99 | მოგება წილზედ . . | 38—90 |
| ჯარიმა . . . . . | 13—40 | გასესხებული . . . | 4,480—13 |
| დაბრუნებული სესხი . | 4,672—55 | სარგებელი ვადაზე წინ შემოტანილის ფულისა . | 3— „ |
| სათადარიგო თანხა . . | 22—10 | სასამართლოს ხარჯი . | 7—20 |
| და სრულიად . | 4,596—64 | და სრულიად . | 4,686—83 |

1-ის იანვრისთვის 1881 წლის ირიცხება:

| | მან. კაპ. | | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წლის ფული. . . . | 675— „ | გასესხებული . . . | 2,347—53 |
| სასარგებლოდ შემოტა-ნილი . . . . . . | 179—96 | ნაღდი ფული . . . | 436—94 |
| ნასესხი . . . . . | 1,643— „ | | |
| სათადარიგო თანხა. . | 80—94 | | |
| წმიდა მოგება . . . | 205—53 | | |
| და სრულიად . | 2,784—47 | და სრულიად . | 2,784—47 |

გამგეობის წევრნი. 1 კოსტანტინე ავალიანი
2 ყარამან ჯაფარიძე
3 სპირდონ დვალი.

(3—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Іюля 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი